

დაშაშის ბუნების ძეგლის ბიომრავალფეროვნება და ტურისტული
მნიშვნელობა - მართვის გეგმის შედგენა

ქეთევან დვალიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის
(ბუნებათსარგებლობა MBA) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა

ბუნებათსარგებლობა (MBA)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი, ირაკლი მაჭარაშვილი

თანახელმძღვანელი: მკვლევარი, ზურაბ ჯავახიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

აბსტრაქტი

ჩემი სამაგისტრო თემის მიზანია, დაშბაშის ბუნების ძეგლის ბიომრავალფეროვნების კვლევა და ტურისტული პოტენციალის შეფასება. ნაშრომში გათვალისწინებულია “IUCN დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის შემუშავების” სახელმძღვანელო პრინციპები და მოიცავს, „დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის სტრუქტურის, შინაარსისა და თემატური ნაწილების შემუშავების მეთოდოლოგიის მომზადების ეტაპებისა და პროცედურის შესახებ“ კანონის ელემენტებს.

კვლევის ფარგლებში, უშუალოდ ბუნებაზე დაკვირვების, საჭერბაროუმე მასალების შეგროვებისა და შემდეგ იდენტიფიკაციის, მცენარეთა სარკვევების, კომპენტენტურ პირებთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან ინტერვიუების საშუალებით, შევადგინე დაშბაშის ბუნების ძეგლის ტერიტორიაზე გავრცელებული მცენარეებისა და ცხოველების ნუსხები.

რაოდენობრივი გამოკითხვისა და უშუალო დაკვირვების გზით, მივიღე ზოგადი სურათი, თუ რა მდგომარეობაა ტურისტული მომსახურების თვალსაზრისით, რა ტიპის აქტივობებს ანიჭებს უპირატესობას მოსახლეობა, რამდენადაა გავრცელებული ინფორმაცია დაშბაშის ბუნების ძეგლის შექმნისა და არსებობის შესახებ და ა.შ.

ნაშრომი შეიცავს მართვის გეგმის შემუშავებისთვის მნიშვნელოვან საბაზისო ინფორმაციებს. მიღებული შედეგების მიხედვით, შესაძლებელია ვიმსჯელოთ საკვლევი ობიექტის როგორც ტურისტულ, ისე ეკოლოგიურ ღირებულებებზე.

ბუნების ძეგლის გარშემო არსებული ეკოსისტემები ღარიბია მცენარეული საფარით. საკუთრივ დაშბაშის კანიონში არსებული ბიომრავალფეროვნება სრულიად განსხვავებულ, ორიგონალურ მიკროლანდშაფტს ქმნის. ის მნიშვნელოვან სამიგრაციო და თავშესაფარ ფუნქციას ასრულებს ცხოველებისთვის. მსგავსი კონტრასტი, კანიონში არსებული ჩანჩქერები, გამოქვაბულები, ვულკანური წარმოშობის კლდეები, მცენარეებისა და ცხოველების მრავალფეროვნება, მნიშვნელოვანი წინაპირობაა ტურიზმის განვითარებისთვის.

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ტურისტული კომპანიები დაშბაშის და არამხოლოდ დაშბაშის მიმართულებით, მხოლოდ სანახაობრივ ტურებს სთავაზობენ ტურისტებს, ხოლო დაცული ტერიტორიების ძირითადი ღირებულებები მეორეხარისხოვანი ან საერთოდაც, უგულვებელყოფილია.

მადლობა

მადლობას ვუხდით სამაგისტრო ნაშრომის მომზადებაში გაწეული დახმარებისა და ინფორმაციის მოწოდებისთვის:

ავთანდილ მჭედლიძეს - ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დირექტორი;

ალექსანდრე ბუხნიკაშვილს - ხერხემლიან ცხოველთა სამეცნიერო-კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი;

ეკატერინე კაკაბაძეს - „დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში - საქართველოს,“ ეროვნული კოორდინატორი;

მაია ახალკაცს - სრული პროფესორი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;

მარინე მოსულიშვილს - ასოცირებული პროფესორი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;

კახა არცივაძეს - არასამთავრობო ორგანიზაცია „NACRES-ის“ წარმომადგენელი;

ქეთევან ბაცაცაშვილს - ბოტანიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;